საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 18 მაისი, 2023 წელი

დრო: 19:30 -20:30

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“
4. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
5. მერი გვაძაბია - მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია

განსახილველი საკითხები:

1. გარემოსდაცვითი კომისიისთვის კანდიდატის წარდგენა.
2. "კლიმატის კანონის" ირგვლივ განხილვა.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინეული საკითხები.

პირველ საკითხად იმსჯელეს გარემოსდაცვით კომისიაში კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით. სამინისტროში შეიქმნა გარემოსდაცვითი პროგრამის კომისია, რომელიც შედგება საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და დაინტერესებული პირებისგან. მათ შორის, კომისიის ერთ-ერთ წევრად განსაზღვრულია გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელის ჩართვა პროცესში.

სამუშო ჯგუფის შეხვედრაზე, ჯგუფის წევრის მიერ, გარემოსდაცვითი კომისიის კანდიდატად დასახელდა ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები. ჯგუფის წევრებმა, წარდგენილ კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საქართელოს ეროვნული პლატფორმის სამდივნო მოამზადებს ოფიციალურ წერილს, რომელიც გაიგზავნება სამინისტროში და წარადგენს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლის შეთანხმებულ, საერთო კანდიდატურას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიის სამუშაო პროცესში.

მეორე საკითხად იმსჯელეს „კლიმატის კანონი“-ზე. ნინო ჩხობაძემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სამუშო ჯგუფის წევრებს საკითხის იგვლივ მიმდინარე პროცესებზე. საქართველოს პარლამენტი მუშაობს „კლიმატის კანონის“ შემუშავებაზე. კომიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე წარდგენილი იყო სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები კანონთან დაკავშირებით, კერძოდ: კანონი არ უნდა იყოს დეკლარაციული. მნიშვნელოვანია ცვლილებები შევიდეს სხვა კანონმდებლობაშიც, რომ კანონი თავის მხრივ იყოს ქმედითი. ასევე, მნიშვნელოვანია დაიწეროს ადაპტაციური ღონისძიებების გეგმა, რეგიონალურ ჭრილში. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ გვქონდეს კანონში მკაფიო ინდიკატორები. ასევე მნიშვნელოვანია არსებობდეს დატვირთვის ნორმების დებულება ცალკეული რეგიონებისთვის.

ამ ეტაპისთვის კანონპროექტი არ არის შემუშავებული. სამუშაო ჯგუფზე იმსჯელეს ევროკავშირის მოდელური კანონის განხილვასთან დაკავშირებით. ჯგუფი იმსჯელებს და იმუშავებს კონცეფციის შემუშავებაზე.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა
დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე